თანხმობის ფორმა პერსონალური მონაცემების სხვა სახელმწიფოში გადაცემის თაობაზე

ჩემთვის ცნობილია, რომ *[ქვეყანა, უნივერსიტეტი]* [გაცვლითი პროგრამის დასახელება] გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, მონაწილეობის მიზნით ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნი გადასცემს პერსონალური მონაცემების შემცველ შემდეგი სახის ინფორმაციას: სახელი, გვარი, აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია, ელ.ფოსტა, სქესი, დაბადების თარიღი, პირადი / პასპორტი ნომერი (მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნის საფუძველზე).
ვადასტურებ, რომ განმემარტა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) დებულებები, მათ შორის პერსონალური მონაცემის არსი, რომლის თანახმადაც პერსონალური მონაცემი არის „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან“. ასევე, ამავე კანონის 37 – ე მუხლით დადგენილი სამართლებრივი დანაწესები, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები. ხოლო, ამ მუხლის პირველი პუნქტის გარდა, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ: დ) ***შესაბამის სახელმწიფოში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობისა და შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მონაცემთა სუბიექტი განაცხადებს წერილობით თანხმობას.***

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაცხადებ ინფორმირებულ და ნებაყოფლობით თანხმობას, რომ ჩემი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია, ელ.ფოსტა, სქესი, დაბადების თარიღი, საჭიროების შემთხვევაში სოციალური მდგომარეობის და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (კონკრეტული გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში) ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნიმ გადასცეს/გადაგზავნოს [მიმღები ქვეყანა]–ში მდებარე [უნივერსიტეტის დასახელება]–ში.

ჩემთვის ასევე ცნობილია, რომ მაქვს უფლება ნებისმიერ დროს უარი განვაცხადო გაცემულ თანხმობაზე. თანხმობის გამოხმობისას, შეწყდება ჩემი მონაცემების დამუშავება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დამუშავების სხვა დამოუკიდებელი, კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული, სამართლებრივი საფუძველი (თანხმობის გამოხმობის მიზნით შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ელ.ფოსტაზე: info@newuni.edu.ge;

ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად, ვადასტურებ, რომ წავიკითხე ზემოთ მოცემული თანხმობა და სრულად ვეთანხმები მის შინაარსს, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით:

სტუდენტის სახელი, გვარი:

ხელმოწერა:

თარიღი: